



რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. მარჯვ მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакціи газ. „Дрoбeа“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარწლისა—5 მან., სამისთვის—3 მან., ერთისთვის—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

სოციალ დემოკრატიის ზარდა

ფასი განსხვავების: დიდ ასო-ებში ასოზე—1 კაპ., ხელნაწილში სტროქონზე—2 კაპ., წიგნის სტროქონზე—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბედათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება“

ზამოღის მუღამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

მთელი წლის მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ВЪ Типографіи. Въ редакціи газетъ „Дрoбeа“.

გაზეთის ფასი

- მთელის წლისა — — 8 მან.
- მესის თვისა — — 5 მან.
- სამის თვისა — — 3 „
- ერთის თვისა — — 1 „

პირველი მაისიდან წლის დამდეგამდე 6 (ექვსი) მან.

შული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

ტელეგრაფები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურლი, 22 მაისს „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ გადამდგარის კოლეჯის სეკრეტრის პლექსანდრე სალავიევის საქმე, რომელსაც ხელმწიფე იმპერატორი მოკვლის განზრახვა ბრალდება, 25 მაისისათვის არის დანიშნული განსახილავად უზენაეს სამართლოში.

სამართლო

თავად-აზნაურთა ყრილობა და ამისი შედეგი.

თავად-აზნაურთა ყრილობა ქალაქს მთელისში, მერე ამისთანა სიძვირეში, ნუ გგონიათ ხუმრობა; მაგრამ მოვალეობა რას არ გააბედინებს კაცსა. ამათს ყრილობას უმთავრესი მორჩი საგანი ჰქონდათ წელსა: მარშლების ამორჩევა და ბანკის საქმე. პირველი საგანი უფრო მათვე შეეხებ-

ბათ და არა დანაჩინს საზოგადოებას, ამისათვის რა ჩვენი საქმეა ვიშაჯულოთ, ვინ ამორჩიეს მარშლებათ და ან რაოდენათ ღირსეულნი არიან იგინი თავიანთი დანიშნულებისათვის? — მკონებთ, რომ ამორჩეველნი არ შესცდებოდნენ: არ მიჰხედავდნენ არც სადილებს, არც თხოვნას და ვედრებას, არც სხვა გვარს თათბირს და დაპირებას... ისეც ამბობენ: „სულ ყველა თავიანი კაცები ამოურჩევიან“.

მა კი არაფერი მოსაწონია, — თუ მართალია რაც გვითხრეს, — ვითომც დაედგინოსთ თხოვნა შუამდგომლობისა ხელმწიფესთან, ზოგიერთა პირთა, დასჯილთა სასამართლოებისაგან, პატივებისათვის. ქეთილი საქმე და მოძმის დახმარება არ არის ცუდი. — მსტყვათ, ერთმა ცოლი მიჰყვა, იპატიე; მეორე პირმა პრისტავი შეურაცხჰყო, მოდი და ნუ იპატიებ... მესამემ — მოძმე მოკლა, — ეს უფრომსუბუქი საქმე არ არის? — როგორ არ ვიპატიოთ... შეყვანა უფრო ქებას არ შეგვასხამს?...
მს კია ძნელი, რომ უმთავრესი სათხოვარო საგნები და საზოგადო გაჭირვება კი არავის გაჰხსენებია!..

მაგრამ, რა ჩვენი საქმეა სხვათა სურვილის და წყურვილის, ან წყლულის მოგონება და ყრილობის მოქმედების ან ქება და ან კიცხვა. — ივე სჯობს, ამ მშვიდობიან და მყუდროთ გათავებულის კრებიდან გადაიხედოთ ბანკის კრებისაკენ.

მთელისის კეთილშობილთ საადგილ-მამული ბანკის გამგეობამ, პირველსავე კრების დღეს, დაურიგა შეკრებილთა დაბეჭდილი 1878-ის წლის ამ ბანკის მოქმედების ანგარიში.

მს ანგარიში, ზოგან, შესანიშნავად აღილებს წარმოგვიდგენს და ღირსს ყურადღებისას.

მაგალითათ: ჩვენ ეხედავთ, რომ ღუშეთის უფლის მიწის პატრონისათვის უფრო მეტი ფული უძლევიანთ ვასხათ, ვიდრე მთელისის, ბორის და თელავის უფლის შემამულიებისათვის. — ღუშეთის უფლს მისცემია ორი ღლის მიწაში — 42 მანათი, მთელისისას — 12 1/2 მ., ბორისას — 31 მ. და თელავისას — 28 მ...
სიხანს აქედან, რომ ღუშეთის უფლს მიწები სჯობნებია სხვა უფლების მიწებს... მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ბანკის მმართველებს სმ საგანში ვაჭრულის თვალთ შაუხედავთ საქმისათვის და ისე გადუწყევტინათ ვასხის მიცემა, რადგან შემოსავალი, ანგარიში მოხსენებული,

გვიმტკიცებს ამ აზრს. მთელისის უფლის მიწის შემოსავალი (ორი ღლის მიწისა) არის: 2 მანათი, ბორისა — 3 მ. და 70 კ. თელავისა — 3 მ. 90 კ. და ღუშეთისა კი — 5 მ. 90 კაპ.

პარგი და პატიოსანი! ჩვენც აღარა გვეტქმის-რა აპაზედ, მაგრამ, თუ ამ საფუძველით ვიხელმძღვანელოთ, როდესაც ვენახების საგანზედ გადავალთ, მაშინ ასე აღარ გამოდის საქმე...

მთელისის უფლის შემოსავალი ორს ღლის ვენახიდან სიხანს — 155 მანათი და მიუციათ სესხათ — 700 მანეთი; ბორის უფლს კი ჰქონია შემოსავალი-იმავე ზომის ვენახიდან — 228 მანეთი, და მიუციათ ვასხათ — 354 მანეთი!... ღუშეთის უფლს ჰქონია შემოსავალი — 174 მანეთი მიუციათ — 672 მ. და თელავისთვის კი, რომლის შემოსავალი სიხანს 214 მ., მიუციათ — 510 მანეთი!...

მს კი აღარ გვეხმის!... ნაკლებ შემოსავლიანს მეტი მიეცეს და მეტიანს — ნაკლები, — ეს ძნელი მოსაწონებელია!..

ღუშეთის უფლის ღინო სჯობნებია ძახურა!... იქნება ასეც იყოს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ, ვაითუ აქ თვითმხნებლობა და პირუდობა გამოსჭვირდეს, უნამეტნავესათ მაშინ, როცა საქმე ახლათ დაფუძნებულია. ჩვენ კიდევ გავგაგონეს, რომ არის ბანკში იმისთანა საქმეები, რომლებიდანაც დაინახებოდა, რომ ზოგიერთებს ძალიან მომეტებული ვასხი მიუნიჭესო, ასე რომ დაგირავებული მამული ვასხის მეოთხედს ფასათაც არა ღირსო და ზოგი კი მეათედ წილზედ ჩამოიყვანესო იმ ფასისა, როგორც თვითონ მამული, ღირდაო და შემამულიებმაც უარი ჰყვესო ამ გვარის შეიწროებულის განაჩენის დათანხმებაზედო...

სხვა ციფრები ჯერ არა გადამითვალეებია და ამისთვის, ვერც არას ვიტყვი თუ ჯერ ბანკის ანგარიშის დაწამთენს ნაწილზედ.

ბანკის მმართველობამ წარმოუდგინა საზოგადო კრებას აზრი, რომ ბანკში ამორჩეულთ ხუთთ დამფასებელთ იმოდენი საქმე აღარა აქეთო და ნება მოგვეცესო, რომ ამორჩევითაც ჩვენ ამორჩიოთ ნოლმეო დამფასებლები, სამი და ვიკმართოთ და ამ სამს ჯამაგირები, თითოს, 1,200 მ. გაუხადოთო წელიწადში და თუ საქართო დაეინახეთ, დანაშთენი ორი დამფასებლის დახმარება, მამინ ისინი მხოლოდ საქართველისა და გვარად მოვიწვიოთო და ჯამაგირიც მაშინ ვაძლიოთო.



ამ დამფასებლების ამორჩევის ნება არ დაუთმო კრებამ ბანკის მმართველობას; მხოლოდ იმაზედ კი დაეთანხმა, რომ სამი დამფასებელი იყოს საქმეების საწარმოებლათ და ჯამაგირებიც მოემართოთ 800-დან 1,200 მანეთამდინ.

უკვდვან რა დასკვნა გამოდი?—

1) მთუ საქმეები შემცირდა და სამი დამფასებელიცა კმარა, ხუთი რალათ უნდა და ან ჯამაგირს რალათ უმატებენ იმ სამს?

2) მთუ მოსალოდებელია, რომ დანაშთენი ორი დამფასებელიც დასჭირდებათ, რალათ სტოვებდნენ ამათ ღობეს გარეთ, და ან სპიდვანლა უნდა მისცენ მათ ჯამაგირები, როდესაც იმათი ხვედრი ჯამაგირებით (გარდა 400 მანათისა) უნდა დააჯილდოონ პირველი სამი დამფასებელი? *

პრაგველი

(დასასრული შემდეგ №-ში)

დღიური

* * * პეტერბურღის გახეთქებში იწერებთან, რომ ამ თვის 15-ს იქილამ წამოსულა სებასტოპოლში ზღვის სამინისტროს გამგებელი ღენ. ადიუტ. ლესოვსკი. ამ მოკლე ხანში შავის ზღვისაკენ მოდის აგრეთვე ღენერალ-ადმირალი მ. მ. პოსტანტინე ნიკოლოზის ძე.

მიზანი ამათი მოგზაურობისა, როგორც ამბობენ, ის არის, რომ დახედონ შავი ზღვის ნავსადგურები და განსაკუთრებით ბათუმი.

* * * ამ უკანასკნელ დროს კიდევ გვესმის საჩივარი ზოგიერთ ჩვენ ქალაქს გარეშე ხელის-მომწერლებისაგან, რომ გახეთი თავის დროზე არ მოგვდისო და ზოგიერთი №№ სულაც იკარგებაო. ამის გამო ვსთხოვთ ამ ხელის-მომწერლებს დაუყოვნებლივ შეგვატყობინონ, სახელდობრივ რომელი ნომერი არ მიუღიათ იმათ და თუ შეიძლება ამავე დროსვე ფორტის უფროსსაც შეადგენინონ აქტი, რომ იმათ ესა-და-ეს № გახეთისა არ მიუღიათ. ამ შემთხვევაში ჩვენ განკარგულებას მოვასდენთ, რომ დანაკლისი ნომერი ხელ-მეორედ გავგზავნოს ხელის-მომწერელს და თან უმაღლეს ფორტის გამგეობაშიაც ვიჩივლებთ, რომ №№ იკარგება ფორტაში.

მს კი უნდა იცოდნენ ჩვენ ხელის-მომწერლებმა, რომ რედაქციილამ გახეთი ყველას სრულად და თავის დროზე ეგზავნება და თუ აკლდებათ, მაშ, ფორტის წყალობით აკლდებათ.

* * * ჩვენ შევიტყუეთ, რომ მთის გამგეობის უფროსი ღენ.-ლეიტ. პომაროვი წასულა ამ დღეებში ზაქათალის მაზრის დასახედავად.

* * * ამბობენ, რომ ეს სამი დამფასებელი ვერ აუვა საქმეებსაო. — მჯერა.

* * * ბაზეთი „ბაეკაზი“ გეაცნობებს, რომ სოფ. საგურამოში სტაროსელსკის მეუღლის მამულში, მიწის-თხრის დროს უპოვნიათ ძველი საფლავი—აკლდამა, რომელიც თიხისაგან არის გაკეთებული და აუხსა გავსო; შიგ ძვლების მეტი არაფერი ყოფილა. ამ აკლდამის დასახედავად უფ. ბაიერნი აპირებს თურმე საგურამოში წასვლას.

* * * მართი შესაძრწუნებელი ამბავი არის დაბეჭდილი გახეთს „მთილისის მოამბეში“, რომელიც ამ დღეებში მომხდარა ერთს მთილისის გარეშე ბაღში: სამს მეღუქნეს მოტყუილებით მიუპატიჟნიათ ბაღში ერთი ახალგაზდა მეწვრიძალე ბიჭი ღოღომაზოვი, დაუთერიათ, შემდეგ საზიზღარათ უწვალეობით სამთავეს, გაუცარცვავთ სულ თავით-ფეხამდინ, ყელში ცხვირ-სახოცი წაუჭირებიათ, წამოუღიათ ღამე და რელსებზე დაუგდიათ, ვითომ რაო და იფიქრონო, რომ თვითონ მოიკლა თავიო.

მეორე დღეს დილით ჟანდარმს უნახავს ეს ყმაწვილი რელსებზე და ცხვირ-სახოცი რა შეუხსნია, ხრიალი დაუწყვია; წაუყვანიათ საავთმყოფოში, მოსულიერებულა, ყველა ეს ამბავი უთქვამს გამომძიებლისათვის და ორი დღის შემდეგ კიდევ მომკვდარა.

იმის ნიშნებითა და ჩვენებით ერთი იმის მკვლელთაგანი კიდევ დაუჭირავთ, დანარჩენი ორი კი სადღაც დამალულან.

* * * შუ. ბ. წერეთელი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ იმის „ჩვენებაში“ მოხსენებული დ. წულუკიძე არის თ. ღვით ბიორგის ძე წულუკიძე და არა სხვა ვინმე.

აშუთაისის თავად-აზნაურთა კრება
სხდომა, 21 მაის.

პრება გაიხსნა დილის 10 საათზედ. მრასამდის მეკენჭებია. თავმჯდომარეა გუბერნიის წინამძღომელი თავ. ნესტორ წერეთელი. ჯერ-ჯერობით სიმშვიდეა.. უწინდლურათ არ არის ყაყანი.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას წასული კრების პროტოკოლები, დადგინებები და ის პასუხები, რომელიც მიიღეს უმაღლეს მთავრობისაგან თავად-აზნაურთა სხვა-და-სხვა თხოვნებზედ.

ჯერ მოხსენდა ესრედ-წოდებული სამეფო სახლის თაობაზე. თავმჯდომარემ სთქვა, რომ სახლი ჩვენი ფულით აშენებულიაო, ბევრი გვაქვს იმაზედ დახარჯულიო, მიწას კი ქალაქი გვეცილებო და ვსთხოვოთ მმართველობას, რომ სახლი მიწიანათ თავად-აზნაურობას გვაჩუქოსო.

მადასწყვეტეს სთხოვენ. რაც ძვირფასი ნივთები იყო იმ სახლშიო, სთქვა თ. ნ. წერეთელმა, არ გავგიყდიდით; მხოლოდ ძველი, დამპალი მუთაქები, რალაც-რალაცები, ბაწარი და სხ.

რომელშიაც მიცემულა თუთასი მანეთიო, გავყიდეთო და უკვე კიდევ დაგერჩა 16 თუმანიო, რომელიც უ. სეკრეტარს აბარიაო. შევლაფერს შემოწმებული სილამ დაინახავს მსურველიო, დასძინა თავმჯდომარემ. ძანკელები და სხვა ძვირფასი ნივთები ზოგი ჩემს სახლში არისო და ზოგი დეპუტატთ კრების სადგომშიო.

შემოიტანეს ბევრმა არხები და საჩივრები:

სამეგრელოდგან წარმომადგენელთ თ. ბახვა შალავეამ და თ. მელიტონ ღადიანმა შემოიტანეს არხა. არხის აზრი:

„ჩვენ თუმცა არა გვაქვს ეხლა არავითარი ხმა თქვენს საზოგადოებაში, მაგრამ მალე ერთი ვიქნებით. ჩვენი ქვეყნილამ ბევრი დაკარგულა თავადიც და აზნაურიც, მაგრამ არ გვითხოვია თქვენთვის შუამდგომლობა.

მს პირველია ჩვენი თხოვნა თქვენლამი, შეგვეწიეთ, გვაჩუქონ ერთი კაცი ბესარიონ ხოფერია. იმას მთელი სამეგრელოს თავად-აზნაურობა იცნობდა სასარგებლო მწვერად თავის მამულისა...“

მ. მამია ბურიელი. იგი არ იყო ქურდი, იგი არ იყო ავაზაკი, არ იყო მაშენიკი, არც რაზმონიკი და თუ რამ მოუვიდა იმისთანა, რომ დასაჯეს, ეს მოუხდა მეგობრობის და ამხანაგობის გულისათვის. მე მგონია, ჩვენი საზოგადოებისთვის არ იქნება სირცხვილი, რომ ვითხოვოთ იმისთანა კაცის განთავისუფლება, რომელიც იტანჯება მეგობრული გრძნობებისათვის! ღირსია, რომ ვითხოვოთ!

— ღირსია! ღირსია! მართხმად გადასწყვიტეს ეთხოვათ ბ. ხოფერიას განთავისუფლება.

აგრეთვე ითხოვეს ზაქ. ჩხეიძის დაბრუნებაც სიმბიირილამ..

ბევრი საჩივრები შემოიტანეს უფლის მარშლებზე, რომ უკანონოთ გამოგერიტხეს კენჭილამაო. ღილი ყვირილი და ფაცა-ფუცი ასტყდა.

— ბატონო! შინც მაგენის მომხრეა, იმას ქე აძლევენ კენჭსა და მე, ქე იცის, რომ შავს უყველფ და კი არ მძლევსო! იძაზოდა ერთი.

— მე რომ მთხოვ საბუთებს, სხვასაც რატომ არ მოსთხოვთო—ჩიოდა მეორე. თავმჯდომარემ მოახსენა კრება, რომ კანონის ძალით კენჭში ვერ მიუშვებთ იმისთანა კაცს, რომელსაც საბუთები არ ექნება და არ დაერწმუნდებით იმაში, რომ მეკენჭეს სრული ცენზი აქვსო.

ანტ. ღორთქიფანიძე. საბუთებზე ნუ წავა საქმე, თვარა ორმოციც აღარ დაერჩებით აქანა!

შველა ეს კითხვები გადიღვა ხვალისთვის.

პრება გათავდა 2 საათზე.

მ. მესხი

„დროების“ კორამსკონდენსია

ს. მებთხილვან, 12 მისს. (დასასრული). როდესაც ნაჩაღნიკმა თავის სიტყვა გაათავა, მიჰმართა სიცილით ხალხს, რომ იმას ეჩვენებინა ყველაზე დიდი ქუჩა... და იქ წავიდა მთელი სოფლის ხალხით ამ განიერი ქუჩის დასაპლანაგათ. „შუჩა უნდა იყოს სამი საყენი სივანით, აქეთ-იქით რუები უნდა ჰქონდეს, შუაზედ ამაღლებული უნდა იქონა“, და სხ. შემდეგ გავიდა სოფლის ნაპირას, — ორ ლობებში. „მსტქვით ახლა, ამბობს უფ. ნაჩაღნიკი, ამ ორ ლობეში ერთი მხრიდან მოდის ივანე ძნის ურმით და მეორე მხრიდან თევდორე ძნის ურმით, — როგორ გაატარებენ ისინი? აქ ორივე ლობებს გაწევა მოუნდებოდა, მაგრამ სჯობია, რომ ერთმა გაიწიოს და მეორე იმას ფუთით გაუსწორდეს. აქ ეს კაკლის ხეები დაიჭრება, ეს ვაშლებიც, ეს ყორღნები და იგლიჯება და განზედ ჩაისხმება...“

„მატონო, შენი ჭირიმი, გააწყვეტინებს გლეხი, ეგ ვენახი აზნაურებისა — მაღალაშვილებისა და ე ყორღნები მიეყვები კამისიამ ჩასხა, როგორ შეიძლება სოფელი მაგას ხელი ახლოს.“

„ღაგიომობენ აზნაურები!..“ ასე აღვიღათ გადაწყვიტეს საქმე წიპრუშკა მაღალდაძიშვილის ვენახზედ, რომელმაც ეს იყო თავი გააცნო ნაჩაღნიკს და მის თანაშემწეს.

„ამ კალოს ერთ საქენამდი მოეჭრება. აქ ხიდი გაკეთდება, აქ ორი სახლი დგას გზის აქეთ-იქით და რომ ორივეს დაქცევა არ მოუნდეს, ერთ ერთს დააქცევთ და აშენებაში მეორე სახლის პატრონი მიეხმარება. რომ ორი ქვეთკირი იდგეს ერთი მაინც დაინგრევა და რომ ღირდეს 300 მან., 150 მისცემს მეორე სახლის პატრონი!“

„უნდა მოგახსენოთ, რომ მეტეხში და იმის გარეშამო სოფლებში ისე ხშირათა სცხოვრებენ, როგორც, მგონია, არა სცხოვრებდნენ არსად საქართველოში. მც-და-ათსა და ორმოც კომლს იქ იმოტელა ადგილი უჭირავს, რამოტელაც მანეთში ერთ შეძლებულ კაცს (არ ვიტყვი მდიდარს) უჭირავს თავის კალო-საბძლით, სათივით, ბეღლით და და სხვა რამეებით, ხშირათა ჰნახავს მგზავრი აქა, რომ სამ-ოთხ ოთხკუთხიან საქენზედ წამოუყვიათ ბაყაყებივით თავები სამსა და ოთხ გომურებს. აბა აქ ერთ გომურს წაჰსწი წინა, — ჰნახამ რა რევოლიუცია მოხდება. ბევრი უთხარი უფ. ნაჩაღნიკს, ვიწრო ქუჩებში წავიდეთ მეტქი, მაგრამ...“

ზაბ. ზარეჯალი.

ნამდვილად აწერია: ვამტკიცებ ხელმოწიფე დიდი მთავრის ძაგკასის ნამსტნიკის სხვაგან მყოფობისგამო თანაშემწე მისი გენერალ-ადიუტანტი კნიაზი სვიატოპოლკ-მირსკი. 31 მარტს 1879 წ. დ. თფილისი.

წესდებულება

თფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წინასწარ უნდა გაახიროს მართებულმა შუა, სადაც მოსახლოებენ კავკასიის სანამსტნიკოში.

IV. ბამგეობა საზოგადოებისა.

§ 15.

საერთო ყრილობა შედგენილად მაშინ დაითვლება, როდესაც მოსული არის მეოთხედი რიცხვი მაინც ყველა წევრებისა, ან ორმოც-და-ათი წევრი მაინც. თუ არა და იმავე საქმეების განსახილვად ხელშეკრეთ მოიწოდება ყრილობა არა უადრეს შეიღის დღისა და მაშინ ეს ახალი ყრილობა კანონიერ შედგენილად დაითვლება, რამდენიც უნდა იყოს ყრილობაში მოსული წევრი.

§ 16.

საზოგადოების საქმეების უმანლობელისი გამგეობისათვის და აღსრულებითთა მოქმედებათათვის საერთო კრება ირჩევს ექვსს მმართველობის წევრსა და სამს იმათ კანდიდატსა.

შენიშნვა. საერთო კრებას შეუძლია მმართველობის წევრთა რიცხვი და იმათი კანდიდატების მეტოც დააწესოს.

§ 17.

საზოგადოების მმართველობა აღირჩევა სამის წლის ვადით და ფარულად, ესე იგი კენჭის ყრით.

§ 18.

მმართველობა თავისს წევრთაგან ერთს ირჩევს თავსმჯდომარის ამხანაგად, რომ როდესაც ის არ იქნება, იმის მაგიერათ იყოს ხოლმე.

§ 19.

მმართველობის საქმე არის; ა. თავის წევრთაგან აღრჩევა თავსმჯდომარის ამხანაგისა, სეკრეტრისა და ხაზინადრისა; ბ. აღრჩევა წევრთა — დამხმარებელთა; გ. ზანტყვეტელი წარმოება წევრთა სიისა; დ. აღსრულება ყოველის საერთო ყრილობაში კანონიერად შედგენილი გადაწყვეტილებისა;

ე. დანიშნვა იმ პირებისა, რომელნიც უნდა განაგებდნენ სახალხოდ წიგნის კითხვასა, წიგნის საკითხავებსა, სამწიგნობროსა და საწყობებსა;

ვ. დანიშნვა შკოლებისათვის მასწავლებლებისა, სადაც საჭიროება მოითხოვს, და დარიგება სასწავლებელი წიგნებისა და სწავლაში სახმარი ნივთებისა; ზ. წარმოება შემოსაწირის და გასაწირის წიგნებისა და წიგნთა მუქედის ანუ გაწირვისა;

ნებისა და სწავლაში სახმარი ნივთებისა; ზ. წარმოება შემოსაწირის და გასაწირის წიგნებისა და წიგნთა მუქედის ანუ გაწირვისა;

ც. საზოგადოების შემოსავლის შესამატებლად გამართვა წიგნების კითხვისა, სახალხო სწავლებისა, სამუზიკო საღამოებისა, სპექტაკლებისა, ფულის საკრეფი ყულობებისა და სხვ.

თ. მოწოდება თავსმჯდომარისაგან საერთო ყრილობათა;

ი. წარდგენა საერთო ყრილობაში, თუ ახალი საქმე იქნება რამე წინათ მოსახრებული საზოგადოებისათვის სასარგებლო, ან იმის მოქმედების უფრო გასაწვრცელებელი;

კ. აღმორჩევა მოწაფეებისა, სახალხო მასწავლებლად მოსამზადებლებისა (§ 2 და 3.);

და ლ. შოველი აღსრულებითი და მმართველობითი გამგებლობა საზოგადოების საქმეებისა.

(დასასრული შემდეგ №-ში.)

განსხვავებანი

თფილისის მთავარ-პოლიციამისტრისაგან

პასპორტის წესდების მუხლის, ტომი XIV-ის ძალით, არავის არა აქვს უფლება, მომორდეს თავის საცხოვრებელ ადგილს, თუ კანონიერი პასპორტი ანუ მოწმობა არა აქვს (მუხ. 2, 3, 4, 9, 10, 12, 13, 14 და 15 იმავე ტომისა). იმავე წესდების 141 მუხლით შესწინები, გლეხები ან ხიზნები, ვინც 30 ვერსზე მოშორდებიან თავის სამუდამო საცხოვრებელ ადგილს მუშაობის საშოვნელად და თავის დასარჩენათ, ვალდებული არიან აიღონ დაბეჭდილი და შემოწმებული პასპორტი (ბილეთი). ჩინოვნიკებმა, სამსახურში მყოფმა და გადაყენებულმა, აგრეთვე სასულიერო წოდების პირთა, აზნაურებმა, იმათ ობლებმა, სალდათებმა და იმათ ქვრივებმა თუ რა წესით უნდა აიღონ პასპორტი — ეს აღნიშნულია მე-XIV ტომის შემდეგ სტატიებში: 51, 52, 58, 59, 60, 68, 71, 72, 75, 89, 92, 112, 118, 119, 139 და 142. იმავე წესდების მე-41 მუხლით უპასპორტოთ ანუ ვადა-გასულის პასპორტით არავის არა აქვს უფლება სადმე იცხოვროს.

მისაც ვადა-გასული პასპორტი აქვს, ანუ ვინც დაჰკარგა ბილეთი, ვალდებულია მოიქცეს წესდების მე-42 და 211 მუხლების თანახმად.

ვინც უბილეთოდ წავა სადმე ან იცხოვრებს, იმათ გადახდებათ პასპორტისათვის ხვედრი ფული და ამას გარდა 61 მუხლის ძალით მომრიგებელი მოსამართლე გადახდევინებს მათ ჯარიმას დღეში 15 კაპეკამდინ და ერთად ერთს თუმანამდინ. ამავე ჯარიმას გარდაიხდიან ის პირნიც, რომელთაც ვადა-გასული ანუ უპასპორტო კაცები ანუ მდგმურები ჰყავს თავის სახლში.



შველა ამ კანონების საფუძველით, წინადადებას ვაძლევ ქალაქის მფილისის მცხოვრებლებს, რომ თუ ვისმესთან ცხოვრებს ან ბიჭად არის ვინმე ვადა-გასულ პასპორტით ან სულ უბილეთოდ, დაუყოვნებლივ წარმოადგინონ ეს პირები ჩემს გამგეობაში (კანცელარიაში); წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც ამ მოთხოვნის არ ასრულებს, ისინი დაისჯებიან, როგორც გასზრახ უბილეთო ხალხის დამამალაენი და წესდების მე-61 მუხლის მე-2 პუნქტის ძალით გაგზავნილი იქნებიან მომრიგებელ მოსამართლესთან.

ამას პარდა საჭიროდ ვრაცხ ქალაქის მცხოვრებლებს გამოუცხადო, რომ ის პირნი, რომელნიც დაჭერილნი იქნებიან უბილეთოდ ანუ ვადა-გათავებულის ბილეთით, არამც-და-არამც არ იქნებიან ჩემგან თავ-დებობით განთავისუფლებულნი, არამედ ცტაბით (ქანდარმებით) გაიგზავნიან თავიანთ სამშობლო ქვეყანაში.

მფილისის მთავარ-პოლიციემისტერი პოლიკონიკი მერკლინგი

5 მაისს, 1879 წ. მ. მფილისი. (3-2)

წიგნის-ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თამაჯდომაკა მოიწვევს უფ. შამდგენელთ და ნამდვილთა წევრთა საზოგადოებისა სამკთო ურლოგაში უამოსავალ-გასავლის მოსაზრებულ ანგარიშის (სმება) გაუინჯვისა და დაგ. ტაიცავისათვის.

უკრლოგა იქნება 29 მაისს, სამ. შაბათს 8 საათზე, საღამოს თავადაუნაურობის ბანკის ჯალაში.

(5-1)

პარასკევს, 25 მაისს, საზაფხულო თეატრში წარმოდგენილი იქნება ქართულ სცენის სასარგებლოდ „**მზის ღაბუნა**“ მომედია სამ მოქმედებად ზ. ანტონოვისა. ბილეთები იყიდება როინოვის ფოტოგრაფიაში და თეატრის კასირთან, პეტროესკისთან. **ღარიყება 8 საათზე**

ვისაც სტუმრის პატივის-ცემა აქვს! ურჩევთ იყიდოს ჩაი, რომლიდამაც ერთი სტაქნის მაგიერ, ოთხი კაცი დალევს! აგრეთვე თეთრი მითქალი დაგრეხილი ძაფისა, არშინი 19 კაპეკად, და კარგი, ლამაზი სპატმარტები სტოლებისა და კამოდებისათვის დაჩემში წასაღებად, ფასი ექვსი აბიზი და მეტრც. **მაღაზია სტუჟანე მანვლოვისა,** ბალაენის პროსპექტზე, მდივანის სახლი. (2-2)

ქალაქს ახალციხეში გაიხსნა კამფეთულის ჯამადენია, რომელშიაც ისე იყიდება ჩინებული, გრანიტის სხვა და სხვა ფერადი კამფეთეული მყინვარე შაქარი, ჰლევა, რასათლუხუმი, მურაბეულობა და ყოველ გვარი სხვა ტკბილეულობა.

შველა ეს საქონელი ამ ზავედენიაში სხვა ადგილებზე უფრო იაზად ისყიდება. მყინვარე შაქარი ბევრს ვინც იყიდის, ფუთი ღირს 8 მანეთი და 40 კაპ, წყრილად ფუთი—9 მან.

მა კამფეთეულის ზავედენია იმყოფება ალექსანდროესკის ქუჩაზე, ფრანგების ეკლესიისა და ხაზინის მახლობლად, ლევან დათებოვის სახლში. (3-2)

ამ მაისის 15-დგან გაღებული იქნება შვა-მარილის მაღაზია მ. გორში და ხაშურში. გორში—ბიორგი რომანოვთან და ხაშურში—სტეკუნია არუწოვთან. გორში და ხაშურშიაც ქვა-მარილი ყოველთვის იმ ფასად გაისყიდება, რა ფასადაც მფილისში ისე იყიდება. **ბრიგოლ ბარამოვი და ბიორგი რომანოვი** (15-8)

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში იქიება ყოველნაირი ახალი მართული წიგნები. მაღაზია იმყოფება ბალის ზემოდამ, ქაშვეთის ეკლესიის ქვევით ღუქნებში. ბარემე პირებს შეუძლიანთ ამ აღრესით დაიბარონ წიგნები: **Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.**

უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. პ. მესხის მაღაზიაში ისე იყიდება

„შანი ჭკუისაგან“ მომედია ოთხ მოქმედებად ბრიგოვი და ნათარგმნი ბრ. ა. წინიმძღვაროვის-მიერ. **ფასი—მეხსი რაზრი**

რბ. გზა.	დღია.	ს.ლაბ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მანკაპ.	მაზანდა	მანკაპ.	მფილისის სამაურნალო.
მფილისი	9 21	5 18	კაპ. 8 კაპ.		მ. ცი სიტყვა მფილისიდან:		მფილისი, 24 მაისს.		მრეენს მედანზე, წინამძღვარის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	85 - 44		ძაკახიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	1	შვე. თეთ. ბანჯისა, ფთ.	2	ავთამყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დღის 9 საათიდან 1-მდინ.
გორი	11 58	9 43	3	1 53	როსტოვი, მდგასს, მოსკოვს	2	შველი წითელი	1 60	მ. რ შაბათს: მერმიშვი და ბარლევინი—შინაგ. ავთა, ქიუჩარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	პეტრობოლს, პარაგვას	2	ბამბა მრეენისა, ფუთი	8 50	სამ შაბათს: მერმიშვი—შინაგ. ა. ბახტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.
სურამი	1 44		4 90	2 61	მსხალ. თში, შვეიცარიაში	3	ამერიკისა, ფუთი	9 50	მ. თხ შაბათი: მერმიშვი შინაგ. ავთამყოფობის.
ქვირილი	5 49		7 21	3 69	იტალია და საფრანგეთში	3 50	მავენტიო ბ. შაბა ფუთი	10 5	სუთ შაბათს: მერმიშვი—შინაგ., მუწარინცი—სიჭილიტიკური და საზარდვ ორგანების.
რიონი	6 57		8 44	4 31	ნიგლისში	3 75	მატყელი თუშური ფუთი	6 50	პარასკევს: მერმიშვი—შინაგ., და სპატმარტები.
სამტრედია	7 51		9 66	4 93	ფოტოგრაფია		თარაქამისა ფუთი	3 80	შვა გრგვლი, გირგ
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	ა) მფილისიდან: სამზღვარ გართ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. შუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. ბახტის—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: მფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგის—ორშ. და პარასკ.		პარეშუმი ნუხური სტ. მარაქამისა ფუთი	2 10	შველი წითელი ფუთი
შოთი	9 50		12 24	6 26	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გართ: ლია წიგნისა	3	მატყელი ფუთი	5 80	მამბაქო, ხაშულო ფთ.
შოთი	9 3				და მისხალი)	8	შველი ფუთი	11 80	მამბაქო, ხაშულო ფთ.
ახალ-სენაკი	10 14		1 53	7 8			შველი ფუთი	7 50	
სამტრედია	11 5		2 61	1 33			სტეარინის სანთელი, ფთ. სლოცი ძროხისა, ლიტ. ცხვრისა, ლიტრა	12 40	
რიონი	12 13		3 84	1 97			სპირტი ვერო	81	
ქვირილი	1 18	ლაბე.	5 3	2 56			შაქარი, ბროც. ფუთი	1 8	
სურამი	5 12		1 10	7 34			ფხვნილი ფუთი	4 50	
ხაშური	5 39		1 37	7 51			შვა გრგვლი, გირგ	7 25	
გორი	7 5		4 8	9 24			შველი ფუთი	5 70	
მცხეთა	8 50		6 59	11 39			შველი ფუთი	70	
მფილისი	9 31		7 56	12 24			შველი ფუთი	6 70	